ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7126817

ნომერი: AR11042018

თარიღი : 13.06.2024

გაცემის თარიღი : 12.07.2024

გაცნობის თარიღი : 12.07.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა N121ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერიანე იობიძე პ/ნ 60001077497
- ქუთაისი მ.ასლანიკაშვილის ქ. N 57

ნომენკლატურა :

- საამქრო/სტამბა
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვასილი ღუდუშაური
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01019059190

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 4463.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2801.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 17711.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 14910.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2801.0

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.93
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 7.93
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2024 წლის 13 ივნისის №AR11042018 განცხადება.

გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N23, 20.06.2024 წ.) რომლის დასკვნის საფუძველზეც უარყოფითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. N121ა-ში არსებული შენობების დემონტაჟის ნებართვის გაცემის საკითხს საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილი იქნას საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით დამუშავებული სრულყოფილი პროექტი.

ამასთანავე საკითხის განხილვისას თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები:

1. ტოპოგეგმაზე დატანილი იქნეს ნაკვეთის მიმდებარედ არსებული ყველა ხაზობროვი ნაგებობა და საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი უწყებების პოზიციები;
2. არ არის წარმოდგენილი კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობებთან და განსახორციელებელი სამუშაოების შესაძლო ზეგავლენის შესახებ. ასევე განხილული იქნას ყველა კონსტრუქციის დროებით გამაგრება და საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი სქემები.
3. წარმოდგენილი იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა ორივე ქუჩის მხრიდან.
4. წარმოდგენილი იქნას დემონტაჟის პროექტის საექსპერტო შეფასება.
5. სამშენებლო გენგეგმაზე გარკვევით იქნას დატანილი დროებითი სამშენებლო ღობე.წარმოდგენილი იქნას სამშენებლო ღობის ჭრილი საკადასტრო საზღვრებით. იმ შემთხვევაში, თუ დროებითი საფარიანი სამშენებლო ღობე იჭრება (კონსოლურად) საზოგადოებრივ სივრცეში, წარმოდგენილი იქნეს ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით;
6. დამკვეთის ინფორმაციაში შესაბამის ველებში მიეთითოს სს „ოპიზარი“ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი-202886163 .წარმოდგენილ იქნეს სს „ოპიზარის“ მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენიმხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილიდოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.